საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

სხდომის მდივანი: თამარ ხუბულური

საჩივრის ავტორი: ყ. ჩ.-ე, ნ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.08.2011

საჩივრის რეგისტრაციის № 074/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2011 წლის 15 აგვისტოს ეთიკის კომისიას მომართეს ყ. ჩ.-მ და ნ. ს.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატ ნ. კ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით უნდა დაეცვა მათი შვილის, ბ. ჩ.-ის, ინტერესები.

1.3 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისათვის გადაუხადეს 1000 ლარამდე, ასევე ფარავდნენ ადვოკატის სხვა ხარჯებს საქმესთან დაკავშირებით.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი სასამართლო პროცესებზე სისტემატიურად აგვიანებდა, არ ნახულობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, მაშინ როდესაც ამ მიზნით ცალკე ართმევდა თანხას მშობლებს.

1.5 ეთიკის კომისიის 2011 წლის 22 აგვისტოს ეთიკის კომისიასთან გასაუბრებაზე გამოცხადნენ საჩივრის ავტორები ყ. ჩ.-ე და ნ. ს.. საჩივრის ავტორებმა ეთიკის კომისიის წევრების შეკითხვებს წერილობით უპასუხეს.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის მიმართ აქვთ შემდეგი სახის პრეტენზიები: ადვოკატი არ აძლევს მათი შვილის სისხლის სამართლის საქმის მასალებს, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმს და განაჩენს, ასევე ბ. ჩ.-ის პირადობის მოწმობას. ადვოკატმა საჩივრის ავტორები სამჯერ დაიბარა სააპელაციო სასამართლოსთან, მაგრამ თავად აღარ მივიდა; ადვოკატთან აქვთ კომუნიკაციის პრობლემა; მათთვის უცნობია ადვოკატმა შეიტანა თუ არა საკასაციო საჩივარი.

1.7 საჩივრის ავტორმა ნ. ს.-მ 2011 წლის 28 აგვისტოს ეთიკის კომისიას წარმოუდგინა დამატებითი ახსნა-განმარტება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს გადაუხადა სამი ორდერის საფასური, რის დასადასტურებლადაც ახსნა-განმარტებას ურთავს ადვოკატისათვის თანხის გადაცემისას თანმყოფ პირთა განცხადებებს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ჰქონდა 2010 წლის 25 მარტამდე. ნ. კ.-მ უთხრა, რომ საკასაციო საჩივარი დროულად შეიტანა, რაც საჩივრის ავტორის მიერ უზენაეს სასამართლოში გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ ვერ მიაკვლიეს ადვოკატს, ხოლო როდესაც გამოჩნდა განაცხადა, რომ ბ. ჩ.-ის საქმესთან დაკავშირებით დააკავა გლდანი-ნაძალადევის პროკურატურამ, 5 დღე იზოლატორში იჯდა და მიესაჯა პირობითი მსჯავრის სახით 5 წელი.

1.11 განხილვის კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბერის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა დააზუსტეს, რომ ადვოკატს ბ. ჩ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე და შესაძლებელია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც.

1.12 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მათ არ უთხოვიათ ადვოკატისთვის გაეცდინა სააპელაციო სასამართლოში პროცესი. სხდომის გადადების თაობაზე ჰქონდათ ადვოკატთან საუბარი, მაგრამ ახლობლისგან ელოდებოდნენ საბოლოო პასუხს საპროცესო შეთანხმების თაობაზე და ვინაიდან არ მიიღეს იგი, არც ადვოკატს სთხოვეს სხდომაზე გამოუცხადებლობა. საჩივრის ავტორის მიხედვით ადვოკატს მისთვის არასდროს უთხოვია ჯარიმის თანხის 300 ლარის გადახდა. იგი დაკისრებული ჰქონდა თავად მისი უდისციპლინობის გამო და არა საჩივრის ავტორთა მიზეზით.

1.13 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ ჰქონდათ საკასაციო საჩივრის შეტანის იურიდიული ინტერესი.

1.14 საჩივრის ავტორები გამოცხადნენ 2011 წლის 26 დეკემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე და უპასუხეს ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

1.15 საჩივრის ავტორის ნ. ს.-ის განმარტებით, ადვოკატს არ უთქვამს მისთვის, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის წინაპირობას ჯარიმის თანხის გადახდა წარმოადგენდა.

1.16 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა დაახლოებით 2010 წლის სექტემბერში მათი შვილის, ბ. ჩ.-ის მიერ ბანკთა მიმართ არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე განცხადებებით მიმართა ბანკებს, შუამდგომლობა დაუწერა მათ ,,ტაოპრივატ ბანკში“ წარსადგენად და ხელი მოაწერა, როგორც ბ. ჩ.-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ ეთიკის კომისიას ახსნა-განმარტება წარმოუდგინა 2011 წლის 22 აგვისტოს.

2.2 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, 2008 წლის 12 ივლისიდან იცავდა ბ. ჩ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, ნ. ს.-მ საადვოკატო მომსახურებისათვის გადაუხადა 250 ლარი, სხვა ანაზღაურება მოცემულ საქმეზე არ მიუღია და თავად მასაც არ მოუთხოვია სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დასრულებამდე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მოპოვებული და დამაგრებული მტკიცებულებების თანახმად, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი უდანაშაულო იყო და მან ყველაფერი გააკეთა მისი ინტერესების დაცვის მიზნით.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას ყ. ჩ.-მ უთხრა რომ მოიძია ახლობელი, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადებას დაპირდა და სთხოვა საქმის განხილვა რაიმე საშუალებით გადაედო. სასამართლო სხდომა საბოლოოდ რეალურად ადვოკატის ავადმყოფობის გამო მაინც გადაიდო, ხოლო იგი დააჯარიმეს 300 ლარით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ბ. ჩ.-ის ოჯახის წევრებს შეატყობინა, რომ საადვოკატო მომსახურების საზღაურს არ ითხოვდა, ოღონდ გადაეხადათ ჯარიმის თანხა, რაც მათ არ განუხორციელებიათ.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების შედეგად მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარსებულა და მისთვის გაურკვეველია საჩივრის ავტორთა პრეტენზიები.

2.8 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გასაუბრება ადვოკატ ნ. კ.-სთან შედგა 2011 წლის 22 აგვისტოს.

2.9 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, ბ. ჩ.-ის საქმესთან დაკავშირებით გამოწერა ოთხი ორდერი: წინასწარ გამოძიებაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, აგრეთვე, დაზარალებულის სახით საქმის წარმოების მიზნით სხვა საქმეში.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან აცნობა საჩივრის ავტორებს, რომ თუ ვერ გადაუხდიდნენ მისთვის ჯარიმის სახით დაკისრებულ 300 ლარს, იგი ავტომატურად აღარ გააგრძელებდა მათთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას. აღნიშნული აცნობა თავად მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირსაც სააპელაციო სამართალწარმოების დასრულებიდან ერთ კვირაში.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მან არ შეიტანა საკასაციო საჩივარი, ვინაიდან აღარ წარმოადგენდა ბ. ჩ.-ის ადვოკატს.

2.12 ადვოკატის განმარტებით, გადაამოწმებდა მასთან იყო თუ არა ბ. ჩ.-ის პირადობის მოწმობა და აღმოჩენის შემთხვევაში დაუბრუნებდა მას საჩივრის ავტორთ.

2.13 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორებმა ორჯერ სთხოვეს განაჩენის ასლის მათთვის გადაცემა, მაგრამ იგი თანახმა იყო მის გადაცემაზე მხოლოდ ჯარიმის თანხის გადახდის სანაცვლოდ, ვინაიდან მათ გამო არ გამოცხადდა პროცესზე. ასევე, მზად იყო სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაეღო საჩივრის ავტორთა ხარჯით და გადაეცა მათთვის.

2.14 ეთიკის კომისიის განხილვის სხდომა შედგა 2011 წლის 9 ნოემბერს, რომელზეც ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას არ ჩაბარებია განაჩენი. იგი სავარაუდოდ ჩაბარდა მსჯავდებულს.

2.15 ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში პროცესის გადადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორთა თხოვნის საფუძველზე და გამოუცხადებლობის მიზეზად დაასახელა ავადმყოფობა.

2.16 ადვოკატი გამოცხადდა 2011 წლის 26 დეკემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

2.17 ადვოკატის განმარტებით, იგი არ აპირებდა ბ. ჩ.-ის ინტერესების დაცვას საკასაციო ინსტანციაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანის, 2010 წლის 25 მარტის შემდეგ 10 დღის ვადაში აუხსნა დაცვის ქვეშ მყოფ პირს, რომ ვეღარ გააგრძელებდა მისი ინტერესების დაცვას. ამ დროს მას განაჩენი ჩაბარებული ჰქონდა. ასევე ბ. ჩ.-ს მშობლებსაც უთხრა, რომ იგი არ აპირებდა საქმისწარმოების გაგრძელებას. მათ სთხოვეს საქმისწარმოების გაგრძელება, მაგრამ მან ჯარიმის თანხის გადახდა მოითხოვა, რაც ვერ განხორციელდა.

2.18 ადვოკატის განმარტებით, არ მოიქცა სწორად როდესაც აჰყვა ემოციებს ჯარიმის თანხის გადაუხდელობის გამო და მხარეებს არ გადააღებინა საქმის მასალათა ასლები.

2.19 ადვოკატის განმარტებით, ბ. ჩ.-ს სამი ბანკისგან ჰქონდა აღებული სესხი. მან 2010 წელს სამივე ბანკს მისწერა წერილი, ასევე საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი და შესაგებელი ორი ბანკის მიმართ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

3.3 ეთიკის კომისიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს არ გადასცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სხდომის ოქმი საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფის, კერძოდ ყ. ჩ.-ისა და ნ. ს.-ის მიერ მისთვის სააპელაციო სამართალწარმოების დროს დაკისრებული ჯარიმის 300 ლარის გადახდის მიზნით, ადვოკატმა მათ არ მისცა საშუალება, რომ დროული ინფორმირებისა და დოკუმენტების გადაცემის შედეგად, სხვა ადვოკატისათვის მიემართათ საკასაციო საჩივრის შეტანის თაობაზე და შეუქმნა მათ ვარაუდი, რომ უზენაეს სასამართლოში თავად ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, რასაც რეალურად შედეგად მოჰყვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვება და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2011 წლის 29 სექტემბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას. მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2011 წლის 9 ნოემბერს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 36-ე მუხლით, 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ნ. კ. ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე იცავდა ბ. ჩ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლისსაქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ნ. ს.-ისა და ყ. ჩ.-ის 2011 წლის 15 აგვისტოს საჩივარი
2. საჩივრის ავტორის 2011 წლის 28 აგვისტოს ახსნა-განმარტება
3. ადვოკატის 2011 წლის 22 აგვისტოს ახსნა-განმარტება
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის განაჩენი

5.1.2 ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთხელ შეხვდა მის კლიენტს, ბ. ჩ.-ს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ.15, 1-ლი აბზაცი)

5.1.3 ადვოკატი ნ. კ. 2010 წელს მას შემდეგ, რაც შეწყდა ბ. ჩ.-სთან სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წარმოადგენდა ბ. ჩ.-ის ინტერესებს სამოქალაქო-სამართლებრივ დავებზე, კლიენტის ბანკებთან არსებული ვალდებულებების გამო.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ.6, მე-2 აბზაცი; გვ.18, მე-7 აბზაცი; გვ.19, მე-4 აბზაცი)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ. 23, 1-ლი, მე-3 აბზაცები)

5.1.4 ადვოკატი ნ. კ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სია, ნ. კ. სიითი №

5.1.5 ადვოკატმა ნ. კ.-მ არ გადასცა ყ. ჩ.-სა და ნ. ს.-ს მათი შვილის საქმის მასალები.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ნ. ს.-ისა და ყ. ჩ.-ის 2011 წლის 15 აგვისტოს საჩივარი
2. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (2011 წლის 22 და 28 აგვისტოს ახსნა-განმარტებები)
3. ადვოკატის ახსნა–განმარტება (22.08.2011 ადვოკატის ახსნა-განმარტება, განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.8; მე-3 აბზაცი; ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ. 10; 1-ლი აბზაცი)

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 მხარეთა შეთანხმების თანახმად ადვოკატს რომელ ინსტანციებში ევალებოდა საადვოკატო მომსახურების გაწევა.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. კ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ ნ. კ.-სთან შეთანხმებულნი იყვნენ რომ ის მათი შვილის ინტერესებს დაიცავდა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე და შესაძლებელია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ. 4, მე-2 აბზაცი).

ბ) ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ითვალისწინებდა წინასწარი გამოძიების შემდეგ მომსახურებას საქალაქო სასამართლოში. ამის შემდეგ თუ შეთანხმებოდნენ სააპელაციო სასამართლოში და კვლავ შეთანხმების შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში. არ იყო გამორიცხული საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც წაეღოთ, ვინაიდან აქ ვერ მოიგებდა (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.6, მე-2 აბზაცი). ადვოკატის განმარტებით, საკასაციო საჩივრის წარდგენის იურიდიული ინტერესი მხარის მსგავსად მასაც ჰქონდა. მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი მართალი იყო და საქმისათვის სტრასბურგამდე აპირებდნენ ბრძოლას (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.9, მე-4 აბზაცი)

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე ადვოკატი ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ საადვოკატო მომსახურების შეთანხმების საგანს წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების განხორციელება

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე, შესაძლებელია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც, შესაბამისად ასეთი შეთანხმების შემდეგ მხარეს ექნებოდა იმედი იმისა, რომ ნ. კ.-სთან შეთანხმებული იყო საკასაციო ინსტანციაში მომსახურებაზე.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შეთანხმების თანახმად ადვოკატ ნ. კ.-ს უნდა დაეცვა ბ. ჩ.-ის ინტერესები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე, შესაბამისად საკასაციო სამართალწარმოების დროსაც.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ. 4, მე-2 აბზაცი)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.9, მე-4 აბზაცი)

5.2.2 ადვოკატმა საჩივრის ავტორებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლამდე.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. კ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატს არ შეუწყვეტია მათთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადამდე და ეუბნებოდა მათ, რომ საკასაციო საჩივარი წარდგენილი ჰქონდა. (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.4, მე-2 აბზაცი; გვ.5, მე-5 აბზაცი; ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ.5-6)

ბ) ადვოკატის განმარტებით, საკასაციო ვადის გასვლამდე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რის შესახებაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანიდან 10 დღის ვადაში პირადად აცნობა კლიენტს, ხოლო შემდეგ სატელეფონო საშუალებით მის მშობლებს. ნ. კ.-ის განცხადებით: ,,მეექვსე დღეს გავაფრთხილე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ზეპირსიტყვიერად, რომ მის დაცვას ან მე გავაგრძელებდი ან სხვა, ვინაიდან სავარაუდოდ მისი მშობლები ვერ მიხდიდნენ დაკისრებული ჯარიმის თანხას. შემდეგ დათოს სატელეფონო საუბრისას ვუთხარი, რომ არ ვთხოვდი ორდერის თანხას, მაგრამ თუ ვერ გადამიხდიდნენ ჯარიმას, ვერ გავაგძელებდი მათთან ურთიერთობას“. (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.9; ეთიკის კომისიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.9-10) ,,ბ. ჩ.-ს მიმართ ეს მკაფიოდ იყო ნათქვამი...გინდა ჩემთვის გაეგრძელებინა“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ. 14, მე-12 აბზაცი).

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ განხილვის კოლეგიისა და ეთიკის კოლეგიის სხდომებზე წარმოდგენილი პოზიციებიდან გამომდინარე, კლიენტი ინფორმირებული იყო, თუ რა შემთხვევაში არ აგრძელებდა ადვოკატი საკასაციო ეტაპზე მის დაცვას.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა თავის კლიენტს და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს მიაწოდა ინფორმაცია თუ რა შემთხვევაში აღარ გააგრძელებდა ბ. ჩ.-ის ინტერესების დაცვას, მაგრამ ადვოკატმა არ აცნობა მას საბოლოოდ საადვოკატო მომსახურეობის შეწყვეტის შესახებ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.4, მე-2 აბზაცი; გვ.5, მე-5 აბზაცი; ეთიკის კომისიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.5-6)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.8-9; ეთიკის კომისიის 2011 წლის 09 ნოემბრის სხდომის ოქმი, გვ.9-10)

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები: ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ“.

7.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

7.2 ეთიკის კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2011 წლის 15 სექტემბრის დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებაში ადვოკატის ქმედების – მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირებისათვის საქმის მასალათა გადაუცემლობის სამართლებრივ შეფასებას.

7.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე №074/10/ დაადგინა რომ: ,,ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე.... საქმის მსვლელობის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად“.

7.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41–ე მუხლის თანახმად ,,ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. ... ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ახლო ნათესავად ითვლება მშობელი.

7.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე 029/11/ დაადგინა, რომ: ,,კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. ადვოკატთან კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს...”

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ გარკვეული ვალდებულებები, რომელიც ადვოკატს ადვოკატთა პროფესიული ეთიკური სტანდარტებიდან გამომდინარე გააჩნია კლიენტის მიმართ, ისეთი როგორიცაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის მიმართაც, რომელიც წარმოადგენს კლიენტის ნდობით აღჭურვილ პირს და რომლისთვისაც ინფორმაციის მიწოდებაზე კლიენტი თანახმაა. მოცემულ შემთხვევაში ნ. კ.-სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენენ ბ. ჩ.-ის მშობლები - ყ. ჩ.-ე და ნ. ს. და ადვოკატს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მათ მიმართაც გააჩნია.

7.7 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე, ვინაიდან აღნიშნული ვალდებულება დაკავშირებული იყო კლიენტის მიერ საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობის გამოყენებაზე.

7.8 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

7.9 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში ექცევა, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვა.

7.10 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორთა პრეტენზია შეეხება არა თავად ადვოკატის მიერ შექმნილი დოკუმენტების დაკავებას თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, არამედ სასამართლო განაჩენსა და სხდომის ოქმს. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს არ გადასცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სხდომის ოქმი საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფის, კერძოდ ყ. ჩ.-ისა და ნ. ს.-ის მიერ მისთვის სააპელაციო სამართალწარმოების დროს დაკისრებული ჯარიმის 300 ლარის გადახდის მიზნით. ადვოკატმა 2011 წლის 26 დეკემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე აღიარა, რომ არ მოიქცა მართებულად, როდესაც აჰყვა ემოციებს და მხარეს არ გადააღებინა საქმის მასალათა ასლები. (26.12.2011 სხდომის ოქმი, გვ.10, 1-ლი აბზაცი). ეთიკის კომისია თვლის, რომ ადვოკატის აღნიშნული ქმედებით, დაირღვა ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

7.11 მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ ასევე იმსჯელა ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე. ეთიკის კომისია აღნიშავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე, მაგრამ დაცული უნდა იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება წყდება უწყვეტი დაცვის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. სსკ–ის 405 მუხლის 1–ლი ნაწილის შესაბამისად, საადვოკატო ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისას ადვოკატი უფლებამოსილია შეწყვიტოს

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ იგი კლიენტს მისცემს დამატებით ვადას ან გააფრთხილებს, რომ აპირებს წარმომადგენლობის შეწყვეტას, თუ კლიენტი არ შეასრულებს მის ვალდებულებებს, გარდა ამავე კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევისა, როდესაც არ არის აუცილებლი დამატებითი ვადის მიცემა და გაფრთხილება. თუ კლიენტი დამატებითი ვადის განმავლობაში ან გაფრთხილების შემდეგაც არ შეასრულებს მის ვალდებულებებს, ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე სსკ-ს 355-ე მუხლის, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–4 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია, რომ იგი წყვეტს მისი ინტერესების დაცვას.

7.12 ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უპირობო, ნათელი და დროული, რომ არ დაირღვეს უწყვეტი დაცვის პრინციპი ან კლიენტს არ დარჩეს იმედი, რომ ადვოკატი გააგრძელებს მის მომსახურებას და არ არის სხვა ადვოკატის აყვანის აუცილებლობა. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა განუცხადა კლიენტს ბ. ჩ.-ს, რომ ,,მის დაცვას ან მე გავაგრძელებდი ან სხვა, ვინაიდან სავარაუდოდ მისი მშობლები ვერ მიხდიდნენ დაკისრებული ჯარიმის თანხას“. მან იგივე უთხრა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარესაც. ადვოკატის მიერ აღნიშნული განცხადება არ ჩაითვლება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების სათანადო შეწყვეტად ამის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, ვინაიდან ის ორაზროვანია და შეიცავს პირობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმის თანხის გადახდა მოხდება, დაცვა გაგრძელდება იმავე ადვოკატის მიერ. ეთიკის კომისია ადვოკატის კომუნიკაციას აფასებს, როგორც კლიენტისთვის დამატებითი ვადის მიცემას დაცვის შეწყვეტამდე. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ის გარემოებებიც, რომ კლიენტს ჰქონდა აღკვეთილი თავისუფლება, შესაბამისად მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა გავლენა მოეხდინა მისი მშობლების მიერ ადვოკატისთვის თანხის გადახდაზე ან თვითონ გადაეხადა თანხა, გარდა ამისა, კლიენტისთვის გართულებული იყო ინფორმაციის მიღებაც კი ადვოკატისთვის ჯარიმის თანხის გადახდის ფაქტის შესახებ, თუმცა ადვოკატმა მას მისცა იმედი, რომ თუ დადგებოდა ასეთი გარემოება, ადვოკატი გააგრძელებდა დაცვას, ეს მოხდა მაშინ, როდესაც საკმარისი დრო არსებობდა საკასაციო საჩივრის შეტანისთვის. თუმცა როდესაც ადვოკატისთვის ნათელი გახდა, რომ მას არ უხდიდნენ ჯარიმის თანხას, ხოლო საკასაციო ვადა იწურებოდა, ადვოკატი აღარ შეხვდა კლიენტს და არ აცნობა უპირობოდ დაცვის შეწყვეტის შესახებ. ეთიკის კომისია აღნიშნული შეფასებისას ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატმა დაცვის შეწყვეტისას არ შეუწყო ხელი კლიენტს, რომ მისი დაცვა სხვა ადვოკატს გაეგრძელებინა, რადგან არ გადასცა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კლიენტის ნდობით აღჭურვილ პირებს გასასაჩივრებელი სასამართლო გადაწყვეტილება.

7.13 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატის უფლება–მოვალეობები სრულდება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მოქმედების შესრულებისთანავე და მას არ ევალება

კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია მისი როგორც ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ნ. კ. აცხადებს, რომ მისი როგორც ადვოკატის უფლებამოვალეობები შეწყდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადების მომენტიდან და მსჯავრდებულთან მასთან არსებული ახლო ურთიერთობის გამო შევიდა. ,,ვინაიდან მე ბ.-სთან ვიყავი ძალიან ახლო ურთიერთობაში და ვმეგობრობდი, თორემ მე არ მევალებოდა ამის ახსნა. მივედი და ბ.-ს ავუხსენი მდგომარეობა, რომ მისიანები მე ვეღარ მეხმარებოდნენ...“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი, გვ.17, მე-2 აბზაცი). ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მიუხედავად ადვოკატის ასეთი მოსაზრებისა იგი არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან შეწყვეტის შესახებ სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს.

7.14 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას ასევე წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმე ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმე №017/11 ,,აღნიშნა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით, განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს“.

7.15 ეთიკის კომისიას საქართველოს კანონმდებლობლის საფუძველზე მიაჩნია, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. საადვოკატო მომსახურების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული მოწმობის შესაბამისად განსაზღვრული მიმართულებით.

7.16 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სიის მონაცემებით ნ. კ. წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში მან კლიენტს სისხლის-სამართლებრივი მომსახურების გარდა, სამოქალაქო-სამართლებრივი მომსახურებაც გაუწია და ვინაიდან მას არ გააჩნდა წარმომადგენლობისას შესაბამისი კვალიფიკაცია დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, რითიც რისკის ქვეშ დადგა კლიენტის ინტერესების დაცვა.

7.17 მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისია არ იხილავს, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა. ეთიკის კომისია ითვალისწინებს რომ საქმის გარემოებათა თანახმად, ადვოკატის აღნიშნული მომსახურების შედეგად კლიენტის ინტერესი არ დაზიანებულა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატს არ

ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, არსებობდა კლიენტისთვის ზიანის მიყენების რისკი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19 და მე-20 პუნქტებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ადვოკატ ნ. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი:	ცირა შუბითიძე
კომისიის წევრი:	არჩილ კბილაშვილი
კომისიის წევრი:	გიგა კვერენჩხილაძე
კომისიის წევრი:	ემზარ პაქსაძე
კომისიის წევრი:	კობა ბოჭორიშვილი
კომისიის წევრი:	ზურაბ ძლიერიშვილი